

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე  
ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება  
№125/01-01 საფუძველზე ინტერდისციპლინური (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)  
„მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრაზე გამოცხადებული  
კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9  
ივლისის № 59/2020 დადგენილების 8 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის  
სხდომის

#### შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

29 აგვისტო, 2020 წ.  
14:00

2020 წლის 29 აგვისტოს 14 საათზე თსუ მე-11 კორპუსის 319 აუდიტორიაში ჩატარდა  
საკონკურსო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ექვსივე წევრი: 1. ასოცირებული პროფესორი ჯემალ როგავა  
(კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოცირებული პროფესორი - ნათელა არჩვაძე (კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე) 3. ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი; 4.  
ასოცირებული პროფესორი მარიამ ბერიაშვილი; 5. პროფესორი ბესიკ დუნდუა; 6.  
ასოცირებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი).

#### დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ (მათემატიკა,  
კომპიუტერული მეცნიერებები) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული  
სტრუქტურების“ (3 ადგილი) კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხა-  
დებულ კონკურსში შეფასების პირველი და მე-2 ეტაპების შედეგების განხილვა და  
კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური  
საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ჯემალ როგავას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ  
ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და  
კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციის  
მიმღებმა აპარატმა, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი  
წესით, კომისიას გადმოსცა კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა შემოტანილი საკო-  
ნკურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუ-  
თვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

#### საკითხი 1.

ა) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრის კონკურსანტი  
ვლადიმერ ოდიშარია

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ჯემალ როგავას ინფორმაცია. მან მიმოიხილა  
კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ვლადიმერ ოდიშარას განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა კენჭისყრის საფუძველზე (მაღალი - 3 ხმა, საშუალო - 3 ხმა) მიიღო შეფასება -საშუალო. სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-2, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-30; ციტირების ინდექსი -0, h ინდექსი - 0; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-9; აღინიშნა, რომ ანკეტაში მითითებული 2 ნაშრომიდან მხოლოდ ერთი ნაშრომი წარმოდგენილი მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების მიმართულებით. ასოც. პროფესორმა ნ.არჩვაძემ აღნიშნა, რომ ერთიან წესებში არ არსებობს პუნქტი, სადაც მოთხოვნილია ვაკანსიის პროფილის შესაბამისი იმპაქტ-ფაქტორიანი პუბლიკაციები, ამიტომ უნდა იყოს 3.1 - 2. რას ნიშნავს მაშინ მეცნიერის აკადემიური თავისუფლება, ხომ არ იზღუდება ამ მოთხოვნით აკადემიური თავისუფლება?

კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება -მაღალი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე ვლადიმერ ოდიშარასთან დაისვა შემდეგი შეკითხვები: თავისი რომელი სამეცნიერო ნაშრომი მიაჩნდა მნიშვნელოვანად; უცხოელი მეცნიერები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მისი შრომებით უკეთებდნენ თუ არა ციტირებას მის შრომებს; რა თემებს კითხულობდა და როგორ ასწავლიდა საგანს „დისკრეტული სტრუქტურები“; ქონდა თუ არა შეხება პროგრამირებასთან.

ვლადიმერ ოდიშარიამ ვრცლად ისაუბრა თავისი გამორჩეული ნაშრომისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. აღნიშნა, რომ წლების წინ ის მუშაობდა გარსთა თეორიაში ასოცირებულ პროფესორ ჯ. ფერაძესთან ერთად. 2010 წლიდან ის დაინტერესდა მათემატიკური მოდელებით იმუნოლოგიაში, დაუკავშირდა და შექმნა ჯგუფი იმუნოლოგ პროფესორ ნანა ჯანიკაშვილთან, პროგრამისტ პაატა წერეთელთან და კახა ოდიშარასთან ერთად. მათი მიზანი იყო გაეკეთებინათ მათემატიკური მოდელები ამ მიმართულებით, რაც ახალი სიტყვა იქნებოდა იმუნოლოგიაში. მიღებულია სტატისტიკური შედეგები, გაკეთებულია აპლიკაცია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამ დარგში მიღებული შედეგების შემოწმება ადვილად ვერ ხერხდება. აღნიშნა, რომ ჯგუფში არიან პროგრამისტები, რომლებიც ახერხებენ დასმული ამოცანების პროგრამულ გადაწყვეტას; ვლადიმერ ოდიშარიამ ისაუბრა აგრეთვე „დისკრეტული სტრუქტურების“ სწავლების შესახებ.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

ბ) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრის კონკურსანტი ნანა ოდიშელიძე

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტი ნანა ოდიშელიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში- კონკურსანტმა კენჭისყრის საფუძველზე (მაღალი - 3 ხმა, საშუალო -2 ხმა, დაბალი - 1 ხმა) მიიღო შეფასება -საშუალო, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-22, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-28; ციტირების ინდექსი -54, h - ინდექსი - 4, g-6; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-9; გამოითქვა მოსაზრება, რომ კონკურსანტის მიერ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიები (მათ შორის შესაფასებად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი) არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, შემდგომში განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ არის ერთი იმპაქტ ფაქტორიანი სტატია, რომელსაც თანაკვეთა აქვს პროფილთან. კონკურსანტი ამ მიმართულებით არჩეულია 2006 წლიდან. ამ წლების განმავლობაში დაბეჭდილია 21 სტატია. ეს დრო სრულიად საკმარისი იყო, რომ მას თუნდაც ერთი სტატია გამოეყვანებინა ვაკანსიის პროფილის შესაბამისად. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, კონკურსანტი ფასდება „საშუალო“ შეფასებით.

პროფესორ ბესიკ დუნდუას აზრი: ქალბატონ ნანას უფიქსირდება მაღალი სამეცნიერო აქტივობა მექანიკის მიმართულებით. მას საერთაშორისო თანამშრომლობით დაბეჭდილი აქვს არაერთი სტატია მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში. მიუხედავად ამისა, მას არ უფიქსირდება სამეცნიერო აქტივობა ვაკანსიის პროფილის მიხედვით, ამიტომ მას ვაფასებ შეფასებით „დაბალი“.

ასოც. პროფესორი ნ.არჩვაძე: ვაფიქსირებ ჩემს აზრს კიდევ ერთხელ, რომ ასისტენტ პროფესორის თანამდებობა არ ითხოვს ზუსტად იმ მიმართულების იმპაქტ-ფაქტორიან პუბლიკაციებს. კონკურსანტი არ ირჩევა სრული პროფესორის თანამდებობაზე. ჩემი აზრით ნ.ოდიშელიძე ჭეშმარიტად იმსახურებს მაღალ შეფასებას.

სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება -მაღალი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრებაზე ნანა ოდიშელიძესთან დასისვა შემდეგი შეკითხვები: თავის რომელ სამეცნიერო ნაშრომს გამოყოფდა ანკეტაში დასახელებული შრომებიდან და რატომ მიაჩნდა ის მნიშვნელოვანად; რომელ მეცნიერებთან ერთად მუშაობდა; როგორ აკავშირებს მექანიკის პრობლემებს მათემატიკური ლოგიკის და დისკრეტული სტრუქტურების მიმართულებასთან; რა განსხვავებაა ქართულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში საგან დისკრეტული სტრუქტურების სწავლებაში; რას შეიცავს საგანი „შესავალი სამეცნიერო მოდელირებაში“, რომლის სილაბუსიც არის წარმოდგენილი. პროგრამირების რომელი ენები იცის.

ნანა ოდიშელიძემ აღნიშნა, რომ გამოყოფდა მის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაშრომს, სადაც ამოცანის დასმა არის მექანიკიდან, მაგრამ მისი გადაწყვეტა არ არის სტანდარტული. ეს ამოცანა დადის დისკრეტულ ამოცანაზე, რომლის ამოხსნის დროსაც მოყვანილია როგორც მათემატიკური ისე კომპიუტერული საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში; მან აღნიშნა, რომ დიდხნიანი სამეცნიერო კავშირები ჰქონდა და აქვს ბატონ ჰამლეტ მელაძესთან, დავით გორდეზიანთან, თენგიზ წუწუნავასთან, ბანცურთან, ხარატიშვილთან, ბერიკელაშვილთან, შავლაყაძესთან და სხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან და რომ მუსხელიშვილის სკოლა არის ბრენდი არა მარტო ქართული მათემატიკური სკოლისთვის არამედ მთლიანად საქართველოსთვის; მის შრომებში (22 იმპაქტ ფაქტორიანი, 28 მნიშვნელოვანი პუბლიკაციები) განხილულია როგორც მექანიკის ამოცანები, ასევე გამოყენებულია დისკრეტული სტრუქტურები; მუშაობდა ერთი სემესტრი ამერიკაში, სან დიეგოს უნივერსიტეტში „დისკრეტული სტრუქტურების“ მიმართულებით, შეეხო სწავლების საკითხებს ამერიკის და საქართველოს უნივერსიტეტებში, სადაც გამოიკვეთა, რომ სან დიეგოს უნივერსიტეტში დიდი დატვირთვა უფრო საგნის გამოყენებით საკითხებზე მოდის, ჩვენთან კი ყურადღება უფრო თეორიულ ნაწილზეა გამახვილებული; საგანი „შესავალი სამეცნიერო მოდელირებაში“ შეისწავლის კომპლექსური სისტემების კომპიუტერულ მოდელს, შეისწავლის სხვადასხვა მოდელირების ტექნიკას, ექსპერიმენტების კეთებას და შედეგების ანალიზს მოდელისათვის, მაგალითად ასახავს მოსახლეობის დინამიკას, გლობალურ დათბობას, სითბოს და მასის გადაცემას, ტბების დაბინძურებას, კრიმინალისტიკას. შეისწავლის Matlab-ის გამოთვლითი ინსტრუმენტების გამოყენებას სხვადასხვა მოდელის რეალიზაციისათვის; ფლობს პროგრამირების რამდენიმე ენას.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

გ) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრის კონკურსანტი არჩილ ყიფიანი

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტი არჩილ ყიფიანის განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში - გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება - მაღალი, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-2, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-8; ციტირების ინდექსი - 0 - ინდექსი - 0, გ-ინდექსი-0; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-1; კომისიისთვის

შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან;

**შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა** ერთხმად მიიღო შეფასება - **მაღალი**, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი არჩილ ყიფიანი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - **გასაუბრებაზე**.

**გასაუბრებაზე** არჩილ ყიფიანთან დაისვა შემდეგი შეკითხვები: რას ეხება ერთობლივი შრომა, რომელიც მომზადდა საბაკალავრო ნაშრომის საფუძველზე სტუდენტ გობრონიძესთან ერთად; რა მეთოდს იყენებს რომ სტუდენტებს ასე მოსწონთ მისი ლექციები; რატომ არა აქვეყნებს ყველა მიღებულ შედეგს და უმჯობესია თუ გამოაქვეყნებს დარგის სპეციალიზებულ ჟურნალში; ხომ არ გეგმავს ლექციებს კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტებისათვის.

არჩილ ყიფიანმა ვრცლად ისაუბრა სტუდენტ გობრონიძესთან ერთად მომზადებული შრომის შესახებ; აღნიშნა, რომ ლექციის ჩატარებისას მთავარია საკითხს, რომელზეც საუბრობ შეხედო სტუდენტის თვალთ და მისთვის ადვილად, საინტერესოდ და დაწვრილებით მიაწოდო სალექციო მასალა; მართლაც აქვს შედეგები, რომელიც გამოსაქვეყნებელია; სიამოვნებით წაიკითხავს ლექციებს კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტებისათვის თუ ამის საშუალება მიეცემა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

**დ) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრის კონკურსანტი ირაკლი ჩიტაია**

**შეფასების I კატეგორია:** კონკურსანტი ირაკლი ჩიტაიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

**შეფასების II კატეგორიაში-კონკურსანტმა** კენჭისყრის საფუძველზე (საშუალო -4 ხმა, დაბალი - 2 ხმა) მიიღო შეფასება -**საშუალო**. ვინაიდან კონკურსანტს არ უფიქსირდება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გამოცდილება (აქვს უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება მხოლოდ 6 თვის განმავლობაში), კარგი იქნებოდა წარმოდგინა კურსების (ერთის მაინც) სილაბუსი. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსანტი დარგის სპეციალისტია, შეიძლება ჩაითვალოს რომ ის შეძლებს მათემატიკური ლოგიკასა და დისკრეტული სტრუქტურებთან დაკავშირებული კურსების კარგად წაკითხვას.

**შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა** ერთხმად მიიღო შეფასება - **მაღალი**, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-5, იბეჭდება 4, ციტირების ინდექსი - 5, h ინდექსი - 1, g-ინდექსი-0; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-6; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან;

**შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა** ხმათა უმრავლესობით (მაღალი - 4 ხმა, საშუალო -2 ხმა) მიიღო შეფასება - **მაღალი**.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი ირაკლი ჩიტაია გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - **გასაუბრებაზე**.

**გასაუბრებაზე** ირაკლი ჩიტაიასთან დაისვა შემდეგი შეკითხვები: რა იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო მის სადოქტორო ნაშრომში; მისი შრომები ეხება ერთ გარკვეულ მიმართულებას და გეგმავს თუ არა უფრო ზოგადი მიმართულებით მუშაობას; გამოთვლების რა მოდელებს

იყენებს; რამდენ ხანს მუშაობდა უნივერსიტეტში და რატომ მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება; რა საგნების სწავლება შეუძლია; რისთვის მიეცა თსუ-ს მედალი; დაპროგრამების რა ენები იცის.

ირაკლი ჩიტაიამ ვრცლად ისაუბრა თავისი სადოქტორო ნაშრომის და შემდეგში მიღებული მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ; მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით მისი ყველა შრომა ეხება დაყვანადობის თეორიას, დაინტერესებულია მოდელების თეორიის და გამოთვლადობის თეორიის ნაწავით, მაგრამ ბოლო პერიოდში მუშაობდა სკოლაში და სამეცნიერო მუშაობისათვის საკმარისი დრო არ რჩებოდა; მოსწავლეებთან შეიძლება განვითარდეს როგორც პედაგოგი, მაგრამ როგორც მეცნიერი, განვითარება ცოტა ძნელია; მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება, რადგან დატვირთვა ქონდა მცირე; შეუძლია მოამზადოს და წაიკითხოს ახალი არჩევითი კურსი კომპინატორიკის და გრაფთა თეორიის მიმართულებით; დოქტორანტურაში სწავლის დროს, თსუ-ს იმ დოქტორანტებს, რომელთაც სამეცნიერო გრანტი აიღეს, რექტორმა ლადო პაპავამ გადასცა მედალი; პროგრამირების ენებიდან იცის პასკალი და შეუძლია დაეუფლოს სხვა ენებსაც.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 6 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები:

1. ვლადიმერ ოდიშარია (მომხრე - 5, წინააღმდეგი 1),
2. ნანა ოდიშელიძე (მომხრე - 3, წინააღმდეგი 3),
3. არჩილ ყიფიანი (მომხრე - 6, წინააღმდეგი 0),
4. ირაკლი ჩიტაია (მომხრე - 3, წინააღმდეგი 3).

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები) „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების“ კათედრის ასისტენტ პროფესორის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

1. ვლადიმერ ოდიშარია,
2. არჩილ ყიფიანი.

საკითხი 2. კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი ჯემალ როგავა

*ქ. ხუჯუა*

კომისიის წევრები:

1. ასოცირებული პროფესორი - ნათელა არჩვაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) *ნ. არჩვაძე*
2. ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი *ირინა ხუციშვილი*
3. ასოცირებული პროფესორი მარიამ ბერიაშვილი *მ. ბერიაშვილი*
4. პროფესორი ბესიკ დუნდუა *ბ. დუნდუა*
5. ასოცირებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი) *ქ. შავგულიძე*

თარიღი

*29.08.2020*